

სტუდენტთა საყურადღებოთ !!!

პრაქტიკა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზაარბრიუკენის „ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის“ უნივერსიტეტს შორის არსებული ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში იგეგმება ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტების (5-10 სტუდენტი) ვიზიტი ზაარბრიუკენის „ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის“ უნივერსიტეტში.

ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტები გაივლიან ინტენსიური გერმანული ენის კურსს (ინგლისური ენის ცოდნის ბაზაზე), აგრეთვე განხორციელდება არაერთი შეხვედრა რეგიონის უმსხვილეს ფირმებში, სადაც სტუდენტები გაეცნობიან მუშაობის პროცესებს (მენეჯმენტი, ორგანიზება, მარკეტინგი, ლოჯისტიკა და ა.შ.).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის წარჩინებული ორ სტუდენტს სურვილის შემთხვევაში ექნებათ შესაძლებლობა ორთვიანი პრაქტიკა გაიარონ ზაარბრიუკენის ქალაქის მერიაში (გერმანული ენის ცოდნა აუცილებელია).

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების მიზნით კანდიდატების შერჩევა მოხდება კომისიის მიერ.

გთხოვთ წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ პირადობის მოწმობა (ასლი)
- ✓ სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი);
- ✓ გერმანული/ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

დაინტერესებულ სტუდენტებს შეუძლიათ დოკუმენტაცია წარმოადგინონ მ/წლის 24 სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე ფაკულტეტის მენეჯერის სამსახურში - (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსი, მე-7 სართული, 708ა ოთახი).

